მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „პარტნიორის“ მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის
საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

11 დეკემბერი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „პარტნიორი“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დაშორება უახლოესი დასახლებული არეალიდან დოკუმენტში მეტად ბუნდოვნად არის წარმოდგენილი. დოკუმენტის ერთ ნაწილში ნათქვამია, *რომ „ტერიტორიიდან 70მ და საპროექტო საწარმოდან 100მ მანძილზე მდებარეობს ორი საცხოვრებელი კორპუსი“.* წინადადების დასაწყისში, თუ რა ტერიტორიას გულისხმობს გზშ ავტორი გაუგებარია. აქედან გამომდინარე, უნდა დაზუსტდეს დაშორებები და გარკვევით იქნეს წარმოდგენილი ანგარიშში.

2. გზშ-ს ანგარიშში განხილული არ არის ტექნოლოგიური ალტერნატივები, აგრეთვე არ არის სათანადოდ დასაბუთებული შერჩეული ვარიანტების კრიტერიუმები. ამასთან არ არის მოცემული, საწარმოს მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების საპასპორტო მონაცემები.

3. სათანადოდ არ არის შესწავლილი ხმაურის ზემოქმედება, სამშენებლო სამუშაოების დროს გარემოსა და მოსახლეობაზე. დოკუმენტში ეს საკითხი ზედაპირულად არის წარმოდგენილი, რომ *„რაც შეეხება ხმაურის უარყოფით გავლენას მშენებლობის პროცესში მანქანა-დანადგარების მუშაობისას უშუალოდ მათ სიახლოვეს, მან შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებ ნორმებს, მაგრამ გარემოსა და ადამიანებზე უარყოფით გავლენას ის ვერ მოახდენს“. (გვ.38)* - გაურკვეველია, რის საფუძველზე დაყრდნობით საუბრობს პროექტის განმახორციელებელი, რომ მშენებლობის პროცესში, ხმაურის გავლენა მოსახლეობაზე არ იქნება, მაშინ, როცა დაშორება უახლოესი დასახლებული არეალიდან, მხოლოდ 70 მ-ია.

4. ქვეთავი ფლორასა და ფაუნას შესახებ ფაქტობრივად, ფორმალურად არის გზშ დოკუმენტში მოცემული. სავარაუდოდ, ის მხოლოდ ლიტერატურულ მონაცემებს ემყარება. საერთოდ არ არის წარმოდგენილი წითელ ნუსხაში შესული და ენდემური სახეობები, შესაბამისად არ არის დადგენილი ზემოქმედება და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ ანგარიშის 2.4.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ *„საწარმო ტექნიკურ წყალს აიღებს ყვირილადან, საკუთარი სატუმბი სადგურით“,* აქედან გამომდინარე, დოკუმენტში განხილულ უნდა იყოს მდ. ყვირილას ბიომრავალფეროვნებაც.

5. გზშ-ს ანგარიშში არ არის მოცემული, საწარმოს სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და მისი მართვის გეგმა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ *„ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს მანგანუმის მაღალი ხარისხის კონცენტრატის წარმოებას. პროცესის დროს მიიღება აგრეთვე შუალედური პროდუქტი – კუდი, რომელსაც საწარმო გადაამუშავებს განმეორებით.“* ამასთან გზშ ანგარიშში არ არის განხილული მეორადი პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია.

ანგარიშის თანახმად, *„ნედლეულის შემოზიდვა ხდება რგანის, მღვიმევისა და ზედა რგანის კარიერებიდან, ნარჩენები პერიოდულად გაიზიდება აღნიშნულ კარიერებზე, იგივე ავტომანქანებით, რომლითაც შემოიზიდება მადანი“.* პირველ რიგში, გაუგებარია, რა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია კომპანიას რგანის, მღვიმევისა და ზედა რგანის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული კარიერებიდან წიაღით სარგებლობისა და შემდგომში წარმოების ნარჩენების კარიერზე განთავსებისათვის. გარდა ამისა, გაუგებარია, შლამის განთავსება საბოლოოდ სად მოხდება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ არცერთ შემთხვევაში არ არის განხილული ზემოქმედება გარემოზე.

გარდა ამისა, არ არის სათანადოდ შეფასებული, თავად საწარმოს ტერიტორიაზე, კუდებისა და შლამების დროებით დასაწყობებისას, გარემო ფაქტორებისაგან (წვიმა, ქარი..), მათი დაცვის ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს ნარჩენების საფუძვლიანი შეფასება, გადაიხედოს საწარმოო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, პირობები და გამოვლინდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტები.

6. გზშ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მონაცემები, საწარმოს განთავსების ადგილას, მიწისქვეშა წყლების შესახებ, შესაბამისად არ არის განხილული მასზე შესაძლო ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

7. დოკუმენტის ერთ-ერთ უსუსტეს ნაწილს წარმოადგენს შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც გზშ ანგარიშის დასასრულს, დანართი 3-ში, ცხრილის სახით, ერთ გვერდზეა წარმოდგენილი. ამ დანართში, „გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმის“ სათაურის ქვეშ წარმოდგენილ ინფორმაციას, თავად შემარბილებელი ღონისძიების გეგმასთან არაფერი აქვს საერთო (გვ 89).

8. საერთოდ არ არის წარმოდგენილი, დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზი მშენებლობის ეტაპზე.

8. რაც შეეხება საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობას, ეს საკითხიც მოითხოვს დაზუსტებას. ანგარიშში ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. გზშ ანგარიშის დასაწყისში საუბარია, რომ დასაქმდება 15 ადამიანი, დოკუმენტის სხვა ნაწილში კი საუბარია, საწარმოში 35 ადამიანის დასაქმებაზე.

9. გზშ ანგარიშის მე-10 თავი - „საზოგადოების ინფორმირება“ - არასრულყოფილია. არ არის ნათელი, გასწია, თუ არა ინვესტორმა ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის. დოკუმენტის ამ ნაწილში უბრალოდ ნათქვამია, რომ *„საჯარო განხილვის შესახებ განცხადება გამოქვეყნებული იყო გაზეთ „24 საათი“-ს და გაზეთ „ახალი გაზეთი“-ს 2014 წლის 27 ოქტომბრის ნომრებში“.* - რაც ადგილობრივი და უშუალოდ, დაგეგმილი საქმიანობის საწარმოს სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის არასაკმარისია.

10. სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას, მე-8 თავი აქვს დათმობილი. აქ მოცემული ინფორმაცია ზოგად აღწერილობითია - გზშ ანგარიშში მოცემულია, რომ *„საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში გარემოს წინანდელ სახემდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსასაზღვრად <u>შემუშავდება საწარმოს ლიკვიდაციის პროექტი“.</u>*

გამომდინარე იქედან, რომ გზშ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევები ზედაპირულია, ხოლო არაერთი საკითხი საერთოდ არ არის შესწავლილი, იგი არ ასახავს სრულყოფილად სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ გზშ ანგარიშის წარმოდგენილი სახით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის /გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარდგენა ყოვლად დაუშვებელია.